

1916

საქართველო  
თბილისი



# მეატრი სსოპრებ

გათყავრთ სალიცრაცურთქერნალი

მინია, 20 მარტი ფასი  
№12 - 1916 10 კ.

წელიწადი  
მ ე თ ხ ე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. შპრ.  
თეატრი და ცსოვრება  
წელიწადი მეთხე. (იხ. მე-4 გვ.)

ქართ. დრამ. საზოგ. სასარგებლოდ სადაძო.  
გაიმართება დღეს, 20 მარტს. „ახალი კოლეზის“ დარბაზში. იხ. მე-2 გვ.



არჩილ ჯორჯაძე

გარდაცვალებდან სამი წლის შესრულების გამო  
(21 მარტს 1913 წ.)  
ესის გათა



მის. კახაძის გუნდი.

# „სახალისო კლუბი“

კ ვ ი რ ა ს, 20 მ ა რ ტ ს

ქართ. ღრამ. საზოგადოების გაგზოვა

თავის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობეს. გამართავს

# ს ა ლ ა მ ო ს

შემდგენს პროგრამით:

1 რაც გინახავს — ველარ ნახავ

ირველი მოკმ. ქ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

2 რუსული მინიატურა

ქ. ვასილიკოვას მონაწილეობით

3 ქორეოგრაფიული გან-  
ყოფილება — ბალეტი

4 საკონცერტო განყოფ.

რუსულ ოპერის საუკეთესო ძალთა მონაწილე.

## ქ ა ბ ა რ ი უ

მონაწილენი: გრ. რობაქიძე, ალ. ყანელი, ბ. გოგიაშვილი, პიშნოვი, მ. ქიკელი და სხვ  
ქართული და ინგლისური. ცეკვა. კოსკები, ფოსტა, პტი-შეო, უმპანიური, ყვავილები, ლფეტი და სხ

3 ჯერ ილდო საუკეთესო ეროვნულ ტანისამოსითვის

დასაწყისი სალ. 9 ს.

სალამის დისახლისი კნ. ვერა იაკ გრისთავის

წელიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალ-  
კვ ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება  
„სორაპანი“ სტამბაში ყოველ ე.მ.ს.  
ხელ-მოწერული წერილები არ დაიბეჭდ-  
ება.—ხელთნაწერები საპრობლემატიკურ შეი-  
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-  
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ სტამბის  
კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი  
5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამარ-  
თი: თიფლისი, რედ. „Театри да Цховре-  
ბა“ I. Имедашვილი

№ 12

წელიურად  
8 0 0 0 0 0



# ქართული ფილანტრონიული საზოგადოება და ჩვენი

506  
თბილისში არსებობს ქართული ფილანტრო-  
ნიული საზოგადოება. ხუმრობა საქმე ნუ გეო-  
ნათ—ქართული ფილანტრონიული საზოგადოება!  
რა ადგილი უკავია მას ჩვენს ცხოვრებაში ან რა  
უურადღებოთ ვეძიებოთ ჩვენ მას?

ჩვენი უკადრეულობა ვართ ქართულ თეატრ-  
ზე (რამდენადღაც კი უნდა ვთქვათ უკადრეულობა),  
ქართული ფილანტრონიული საზოგადოების „ჩუ-  
მი“ არსებობა კი არაფერს ძიებს არ უფროსობს!  
რა არის ამის მიზეზი? ჯერ ერთი ის, რომ ჩვე-  
ნი ძილის დაფრთხობა არც ისე ადვილი საქმეა;  
მეორე ის, რომ, თუმიც უფლებანი გვაკავიოთ—  
ჩვენი, ქართული მუსიკა, ჩვენი ხელოვნება, ჩვენი ეს,  
ჩვენი ის,—მაგრამ ნურც ისე ძალიან დაუფრთხობთ  
ჩვენს თავს: უფლებანი ეს ჩვენი-ჩვენი“ ორიოდე გო-  
ჯის სიღრმეიდან ამოდის... შესამეღაც ის, რომ  
ჩვენი თითქმის დაკმაყოფილებული ვართ ჩვენი  
მუსიკალური ხელოვნების განვითარებით: გუგუზ-  
ნანს „თითქმის“ კომპოზიტორები, „თითქმის“  
მომღერლები, „თითქმის“ დაქვეყნები; კონ-  
ცერტზე გუგუზების თარი, ჭიანჭური; ქართულ მო-  
მღერალთა გუნდებიც ქუდაჯებში,—რა ვუყოთ,  
რომ ამ 30 წლის განმავლობაში არაფერია წინ-  
სვლელილობა არ ეტეობათ... აი, ესეა კიდევ  
ზრდილებს ვინაშაფთ ჩონკურის დაქვეყნების-  
თვის და ვითომ რა გვიჭირს,—ვისეც რა ნა-  
ღებო ბუკები ვართ!..

სული გეშეშება, როცა თვალს გადავუგებ  
ჩვენს ასეთს უხადრეულობას..

ჩვენი აზრით, ქართული ადამიანის ბუნებას  
არც ერთ ღატკში არ წარმოუშევა ისეთი მშვე-  
ნიერება, როგორც სიმღერა-გალობაში, და გო-  
ცებულები შევძიებთ ამ დიდებულ ხატებას!

მაგრამ რა! დღესაც ჩვენი ბუნებიდან ამო-  
ღებულები ეს ძვირფასი განძი ისევე იმ ზირველ-  
ყოფილი სხვით გვიჭირავს ხელში და გერ მი-  
გვიხერხება მის საზოგადო მოსაზულობათა გე-  
მინაგეთს!.. გავიგინეთ ერთ წერტილზე,—ადარ  
არის სასიკეთსი რაღაც უბედურ ღოღს წამოიღო  
ჩვენი მუსიკა და ფარსისაღების ერთ ალბასი..

საინტერესია ის მოვლენა, რომ ჩვენი მუ-  
სიკის ეს უნდაწერი მდგომარეობა არაფერს შეს-  
ფერის უურადღებებს არ იბურბებს. საინტერესოა  
ისიც, რომ ჩვენი სიმღერა-გალობის მდგენელი,  
სულ ცოტაოდენი გამინაჯლისით, მეტად კმაყო-  
ფილიანი არან ჩვენი მუსიკის აწინდელი მდგომარ-  
ეობით და შევლეთიანი დაუწრელებელს „ი-ი-  
ი-ი-ი“-ს თუ ვინმე გადაუხედა, მისად არიან ქრის-  
ტი-ღმერთი ძირს წამოიღონ! როგორც ზირველ-  
დად სტადეს ოთხ-სმოგანი ქართული გალობა,  
ქართული გალობის „მართლ-მორწმუნენი“ ისე-  
თი ზათქითა და ზეიმიით ამხედრდენ, გეგონე-  
ბოდან საქართველოს მტერი შემოიჭრებოთ! ქარ-  
თული გალობა მხოლოდ სიმ სხად შეიძლება!  
შეირყუნს ქართული გალობა!

ამ საშიშრო წლის წინად განსვენებულ აკ-  
კისთან მქონდა საუბარი ქართულ სიმღერა-გა-  
ლობაზე; მთელი საათი ვუმტკიცებდი სხვა და  
სხვა მავალითთ ვეროზიულ მუსიკიდან და



ძლიერს შეურთე რწმენა, რომ ქართულ ეროვნულ სიმღერა-გალობას არავითარი ხიფათა არ მოელოს, თუ მას ნამდვილი მუსიკოსის ხელი შეეხება. ასეთივე ბასი მიმიხდა ამ ცოტა ხანში ერთ განათლებულ ქართველთან, რომელმაც მიჰქინაფრად იცის ქართული გალობა.

ერთი სიტყვით, ქართული მუსიკა განიღდოს მიზეთუნასხვის ბუღს, რომელსაც დარჯაღ სსსტოკი ეტვიანი პეტრინი ადგას თავს.

შორს რად წავიდეთ: შარშან თუ შარშანწინ ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ ჩვეულებრივი დილა გამართა; ამ ჩვეულებრივ დილას, რასაკვირველია, ჩვეულებრივი რეცენზიები მოჰყვა. ერთი მთავანი ზედმოწვევით ასეთი იყო: მუსიკალურმა დილამ სსსსამიოვრო შთაბეჭდილება მოახდინა, მხოლოდ არსად იყო ქართული ეროვნული მუსიკა.

რას ნიშნავს ეს ზარსად იყო ქართული ეროვნული მუსიკა? — ვერ მივხვდი მაშინ და დღემდისაც ამ საკვადურის აზრი ჩემთვის გაუგებრია!

მუსიკალურ სასწავლებლებში სწავლიან საზოგადო სიმღერას, სხვა და სხვა საკრავებზე დასვერას (არა ჭიანჭურსა და ჩონტურს), თეორიას და სხ. ამ მიზნისთვის ეგრობებულ მუსიკოსების განსაკუთრებულია მუსიკალური აორტრატუა, — საფარჯიშოები, ზიესები — და რას მოელოდნ ბ. რეცენზენტო ქართული მუსიკალური დირექტორიდან, რომელიც არ არსებობს!.

საიდან წარმოსდგება ქართული ინტელიგენციის ეს უნაწილი შეხედულება ქართულ მუსიკაზე? ვითოვ ნუ იწინებენ, — ამის მიზეზად მე ვთავი იმას, რომ ქართველებს ჯერ ნამდვილი ინტელიგენცია არა გვახვს... ესრედ წოდებული, განათლებული — გვეყვანან, მეცნიერების რომელიმე დარგის მცოდნენი — გვეყვანან, მაგრამ ფართე მსოფლმხედველობით განვითარებული ინტელიგენცია ჯერ არა გვახვს. ჩვენს ინტელიგენციას არა აქვს ჯერ შემუშავებული მთლიანი მსოფლმხედველობა და ამისათვის მის აზროვნებას უოველ ნაბიჯზე ცალმხრივობა ეტეობა; ჩვენი ინტელიგენციის აზროვნება უფრო-უფრად არის დაუფილი და ამ უფრების ერთმანეთში გაშვრი არა აქვთ, მაშასადამე მოკლებულია სინტეზის საშუალებას: ერთ უფრებში დამაზო ხვევრი დევს, მეორეში დამაზონარი კარტოფილი.

სამასლოვროდ დამრჩა ასეთი შემთხვევა: ერთი ქართველის ინტელიგენტის პატარა ქალმა შესამჩნევი ნიჰი გამოიხინა მუსიკოსის და მშობლებიგ ხელს უწყობდნ მის განვითარებას. ერთხელ ამ თუასში ვიყავ. ვსტუდვართ, ვდაზმარაკობთ... მეორე თათში რთაღზე ვარჯიშობდა პატარა ქალი და ისე კარგად უკრავდა, რომ ჩემი გულსიყურო იქით იყო. შემოვიდა ნანტობი ქართველი ერთი ინტელიგენტი — „ნამდვილი“ ინტელიგენტი — ხანტრტინია... მიუვლო ვუთ: — ეს რა არის? — ჩემი ქალი უკრავსო, უზასუხა მასზინძელმა არავითარი უფრადლება არ მიიპურო ნიჰიერმა ბეშემა, — ხანტრტინია:“ მხოლოდ დამთქნარად და უმეხსად ჭკობისა: მივხურნედ ამხადებო?!

განა ცხნადი არ არის, რომ ამ ინტელიგენტს „სამუსიკო უფრებში“ დამაქნარი კარტოფილი ედარა?!. საუბედუროდ ეს ინტელიგენტი გამონაკლისად არ ჩათვლება ჩვენს ცხოვრებაში.

რაც შეეხება ჩვენი ძველებური სიმღერა-გალობის მცოდნეთ, რომელნიც აღმაცნარდ უუურებენ უოველს ახალს ჩვენს მუსიკაში, ეს ჩემთვის ცხნდა: გარდა განუზარებულად სიმღერა-გალობის მთ არავითარი მუსიკალური ცოდნა-განვითარება არ აქვთ და მეტრც არ მოეოხევაბთ. გარდა ამისა, ჩვენი ძველებური სიმღერა-გალობის მცოდნეთ საზოგადოებრივი უფრადების მონაზოლია ჭქობლით ელებული (დამისხურეს კიდეც) და უოველი ახლად ინტრესი ჩვენს მუსიკაში ამ მონაზოლიის მეტრცად გამოადის. მე თითონ მიძიძნა ამის აღნიშვნა, მაგრამ სსსუბედურად, მეტონია, არა ვცდივარ!.. სად არიან ჩვენი სიმღერა-გალობის მცოდნენი, — დასტრთა-ლებენ სიყვარულით ფილარმონიულ საზოგადოებას? არა! უწყობენ ხელს, რთაც კი შეუძლიან? არა! ზირაქით: რამდენადაც გატეული მიქნს, მტრობა და განხეუქალება სუფევს მათ შორის!.. ვეველს უნდა შეთთინა“ იფოს, ვეველს უნდა თავისი შეკლას შექქნის, ნამდვილი შეკლას კი მივადებულია თრთადე კანცის ანაზრად!.. უოველი დამინის ზირადი ინიცატრავს და სქიანობა სქებურთა, მაგრამ არ უნდა დავიფიქოთ, რომ დიდი რამის გაკეთება შეუძლიან მხოლოდ კარგად დაცენებულს მუსიკალურ სასწავლოცებელს და ჩვენი უმთავრესი უფრადლება სწორედ აქეთ-

კენ უნდა იქონი მანერობაში! უამისოდ ნახვეარ  
სახუების შემდგობნ ისევ ის ქულაჯგუში გამა-  
წობილი „ჭანდო-თარალო“ იქნება, რაც არის  
ქსლა, რაც აუთ ნახვეარ სახუების წინ!.. ჩვენ  
კი მოგვეჩინება ეს გაქვებულო ერთი და იგივე-  
ობა და უნდა იქნება ხომ მხალხლ ეთნოგრაფი-  
ა ინტერესით გვიამყნენ. ქულაჯგუში უმოძრაო-  
დაც ემბლემატად გადაიქცა და მისი დანახვა რადან  
ფიქრდობას წამდგეს გულში!

სახოცადობამ უნდა მიაქციოს უფრადლება—  
დადი უფრადლება ნოტიო კუნჭულში მიკვებულს  
ფილანთინიულ სახოცადობას: იქ არის ჩვენი  
მუსიკალური აღმშენებლის იმედი; დანაუულ „ჩან-  
რე-ჭანდოლო“ მხალხლ იქ შეუძლიან იქვე ისეთ  
რადმე, რამ გააჩნათ მთელი ქვეყნიერება...

*ნ. ლომიძე*



**არჩილ ჯორჯაძე**  
გარდაცვალებიდან 3 წ.  
მესრულების გამო († 21  
აპრის 1913 წ.)

**დ. მ. ტ. უ. გ. ი.**  
**ს. ჭანტური შვილი**  
სამხედრო სამსახურში  
გაიწვიეს

## მოსე წინასწარმეტყველი

(არჩილ ჯორჯაძის სხოვნახ)

მწუხარე იყო მოსე და ნაღვლიანი. სევ-  
დის ბეჭედი მის უშუბლს ღრმა ნაოქვად და-  
ბნეოდა და შავ ფიქრთ თავი მისი მიწად და-  
ხვარათ მძიმედ.

არაფერი ახარებდა მოსეს. მისთვის ამაო  
იყო სიმდიდრე ფარაოს სასახლისა. მას, ყრმის  
—ვერ ხბლავდნენ ვნებიანნი ტურფა მხევალი-  
ნი... ყოველი აღერსი და სიამე, რომლებიც  
უხვად იყვნენ განზნეულნი აღმზრდელი მეფის  
ოჯახში, არ ეკარებოდნენ, მხიარულებას არ  
იწყებდნენ ყრმა მოსეს გულში. არა, მოსეს  
გონება სხვა რამეს დაეკირა. მისი ფიქრნი  
სხვის დასტრიალებდნენ, სხვას ევლებოდნენ

თავს და ეს სხვა იყო ერი, მშობელი ერი,  
რომლის საბედისწერო ვინაობა უკვე გაეცნო  
მოსეს. კვსოდა იგი ერი მონობის მძიმე  
ულელს ქვეშ და ეს კვსა ადუღებულ ტყვი-  
ად ეწვეებოდა მოსეს ტინს. მონის ზურგ-  
ზე ტყლაშუნით ემეებოდა ბატონის წნელი,  
ნემსებიანი მათრახები ხორცის ნაფლეთებს ამ-  
ნევენდენ ჰაერში, სკდებოდა კანი და აღის  
ფერად ღებავდა კონკებს, რომლებშიაც გა-  
მზხველურიყო ზედკრული მონა-ებრაელი. და-  
ლურჯებული, დაკორძებული ხელფეხი—აუ-  
ტანელ მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ. ჩა-  
ცვივნილი თვალები, გამხდარი, გაყვითლებუ-  
ლი სახე შებრალებას და შევლას ითხოვენდენ,  
ეს იყო რომ არ ასვენება ფარაოს აღზრდილს.  
ეს იყო რომ ანაღვლებოდა მოსეს, ნაღველი  
უფრო იზრდებოდა, უფრო აუტანელი ხდებო-  
და, როდესაც იგი მშობელი ხალხის ღლებს  
შარავანდელით მოკულ წარსულს გაიხსე-  
ნებდა.

— „აი, ერი—ერთ ღროს ძლიერი და  
ამაღლებული!..—აი ხალხი—არჩული ღვთი-  
საგან, მასთან მოლაპარაკე და მისი აღთქმის  
შემნახველი!..“

— ერო მშობელი! ვინ შეგახსნა ბქე პირ-  
ველობისა?..

— რამ დაგაძახუნა, რამ დაგაბეჩაფა გე-  
რე? ერო დაჩაგრული, ერო უბედურო, ვინ,  
ვინ აღვიჩნდეს მომხმარედ, აღმოგყავიელოდ,  
დამცირობისა და მონობის საფლავისაგან?!  
სანამდე გვგრე?! შეუძლებელია!..

სიმწარით იტყოდა მოსე და ცრემლები  
მოადგებოდა თვალებზე.

ოჰ, იცოდა, კარვად იცოდა მან, რომ  
ისრავლს შეველა სჭირდებოდა, ხოლო ვერ მი-  
მხვდარიყო საითკენ ეძებნა გზა ხ ნისა.

... ახლა მარტოა მოსე, მან ვერ აიტანა  
ტანჯვა-ვაება, წვალება და დამციროება, რომ-  
ლებითაც ასაჩუქრებდნენ ეგვიპტელები ებრა-  
ელთა. მოსემ უარყო ფუფუნებით ცხოვრება  
საკუთარი აღმზრდელს მეფის სასახლეში. ის  
მწყემსია, მწყემსის ცხვართა იოთორისათა სი-  
მამრისა თვისისა მღვდლისა მადიამელთასა.  
მიუშვებს მოსე იალაღზე ფარას, თვითონ კი



შიჯღებმა ნახორის მთის მაყვლოვანში და მიეცემა თავის საყვარელ ფიქრებს მშობელ ერზე, მის აუტანელ, მწვავე მღვთაობაზე. ოცნებას ფრთებს შლის. გონების თვალწინ ეხატება სხვა და სხვა თვალთწარმტაცი სურათები მომავლისა: „ვნახოთ მოველინა ებრაელთ მხსნელი... დამსხვრეა ბორკილები მონაზობის, შეშრა თვალზე ცრემლი, წაიშალა ხსენება ტანჯვა-დამციროების... ებრაელი დამეკვიდრა საკუთარ ქვეყანაში, აყვავდა, გამშვენიერდა, განათლდა ცხოვრება დებანგებულითა... სიმღერა და მხიარულება ყველგან... თავისუფლება“!.. მერმე: „ებრაელებმა გაიხსენეს ძველი სჯული, ადათი... ალაშენეს სამსხვერპლონი, აღანთეს ლამპარი ჩამქარალ სარწმუნოებისა... ღმერთმა მოავლო წყალობის თვალს, გადმოხედა არჩულე ერს, მოუვლინა წინამძღოლნი და მმართველნი ისააკის, აბრაამის, იაკობისა და იოსების მსგავსი. გაძლიერდა ებრაელი, აფეთქდა საბოლ სიციცხლე!.. თავისუფლება!.. მერმე... მერმე?“ გატაცებით ეკითხება თავის თავს ფიქრებში გართული მწყემსი. სულ დააიწყება ყველაფერი... სპეტაკმან, მოლივლივე ოცნების ტვლითა გაუგრილეს შუბლი მოსეს, შეუშუსბუქეს სევდა, დაუამეს სულის იარები... ნათელი რამ ბრწყინვალე სვეტად ჩაეშო მთელ არსებაში! არა-ჩვეულმა სულის კვეთებამ შეიპყრო რაღაც საღმრთო ძრწოლამ და შიშმა მოიცვა მოსე... უსმინს იგი გარინდებული, უძრავად ქმნილი ზეციურს ხმას საამის: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი! მე ვარ თავისუფლება, ხსნა და მშველი შენის ერისა! წარინადე ხამლი ფერხთა და ისე მომიახლოვდი... ხილვით ვიხილე ძვირის ერისა, რომელი არს ეგვიპეტსა და დაღადება მისი, რამეთუ ვიცი ჰიოი იგი მათი და გარდამოვებდ ვანარინებათ მათთა ხელთაგან ეგვიპეტლოთაგან. და შეყვანებათ აღვილსა ფრიათ კეთილსა... შეგიძლია წინა უძღოლე მს?..“

შეწყდა ხმა... გრძობების შეკრება ვეღარ მოასწრო მოსემ. მიწოდ განერთხო რვი და ათრთოლებულმა წამოიძახა: ჩემს გულს ზვარაკად შევწირავ და სულს კანდელად დავანთებ იმის ტაძარში“...  
 მაშ ალთქმის ქვეყნისკენ!!!

მიუღღის მოსე მშობელს ხალხს, უკვე თავისუფლის და ბედნიერს—მიუძღვის აფრიდა კეთილ ადგილისკენა. იგი ხალხი ეხლა, ვით არწივი მთებისა და უშიშარი ვით რისხვა ღვთისა.

მას ღმერთი იეღოვა სწყალობს!.. მოსეს ვერ აშინებს ვერც ურიცხვი მხედრობა ფარაოს, უკანვე დასაბრუნებლად წარმოგზავნილი... აეტლები ფარაოსი და ყოველი ძალი მისი შთასთხია ჯღვასა შინა“... ვერც სხვა რკალივით რომ შემორტყმიან ებრაელებს და მსურთ დამონონ, დააბრკოლონ წინსვლა თავისუფლის ერისა. „ხელი ღვთისა მოსრავს ყველასა, ილოცეს წინამძღოლი და „შიში და ძრწოლა შეიპყრობს“ მოშურნეთ.

არ უფრთხოდა წინამძღოლი არც დაბრმავებულ, მონობას შეჩვეულ ისრაელთა ყველრება-უქმყოფილებს, რომლებიც ყოველ წამს და ყოველ ნაბიჯზე გაისმიან. მოსე აკმაყოფილებს ხალხის თხოვნას, აქრობს გაქირვებას, არჩენს ქრილობებს სიღარიბისას და სასოწარკვეთილებისას...  
 უღანბნო ოთომი... წყალი არ ყოფნის ხალხს. გარშემო მხოლოდ ქვიშაა და შიშველი სალი კლდეები. ყრუ ყოყმანი ისმის. მოსე კვერძხს დაჭკრავს და ცივი ცქრიალა ნაკალი გადმოსკდება.

აღმოსავლეთის მზე შეუბრალებლად ახურებს... ბული ასდის გზას. შეუძლებელია სვლა. მოსე ღმერთს შეევედრა, ღრუბელი მოიცვს მიდამოს დაბრუკულს, საამო ჩრდილი მიეფინება ისრაელთ. ღამეს კი სვეტი ცეცხლისა ანათებს. „ადა აღარ მოაკლდა მათ სვეტი ღრუბლისა დღისით და სვეტი ცეცხლისა ღამითა.“

სინას უღანბნო... დადილოდ, დაქანცულ ხალხს საქმელი შემოაკლდა. ღრტვინვა გაისმა. წინამძღოლი ლოცვად დგება. ქამადი და წყალი ვაჩნდება, ასე უღლის მოსე თავის ერს, ასე ევლება იგი მას თავს, რაფა შეიყვანოს აადვალთა კეთილსა. და რომ მომზადებულ და ღირსეული იყოს ებრაელი იმა ადგილის დასაპყრობათა, მოსე სჯულს უწერს ძეთ ისრაელისაჲ. მცნებათ აძლევს, რომელმაც უნდა დასწვას ყოველივე ნაკლი და ილა-

მალღოს სახელი მოწყალე იელოვასი არჩეულ  
ერში. აღფროვანებული, ძლიერ-მოსილი მი-  
სწრაფის წინამძღოლი წინ, მიედინება ის-  
რაველი თავისუფლებისკენ, აღთქმულ ქვეყნის-  
კენ. ამა, საზღვრები უკვე მოსჩანან, ამა მი-  
ზანი ხორციელდება. მაგრამ, წინამძღოლი ილ-  
ლება: მოსეს ძალღონენ მოკლებია... მას  
ღმერთი მოუწოდებს...

ღამეა... ვარსკვლავები ცის ლაქვარდში  
ციმციმებენ. მიწა გამსკვირვალე ნისლს მოუ-  
ცავს. მისი კალთები დედობრივის აღერსით  
მოხვევია პატარა მთას—წაბაისს, რომელიც  
ქანაანთ ქვეყნის განაპირა საზღვარია. ამ მთის  
ძირში დაუბანაქნია ისრაელთ. კარგებში სი-  
ჩუმეა. სძინავს ყველას—ბნელა ყველგან, ხო-  
ლო ერთ განაპირა კარავში ოღნავ ბეუტავს  
სანათური ქონისა. ხმა დაბალი ლაპარაკი ისმის.  
აქ არიან მოსე და იესო ნაველი.

— „მე ვერ მოვესწარ, —ამბობს მოსე:  
საკუთარის თვლით მენახა ბედნიერება ჩემის  
ერისა. მე არ მეღირსა დამკვიდრება მხარეში,  
რომლისცა ეფუცა ღმერთი მამათა ჩვენთა.  
მაგრამ განა საკმაო არ იყო, რომ მე მითი  
ესკოცხოობდი, რომ მის სახეს, მასხედ აზრს  
სიყრმიდან ვატარებდი სულში, მას შევტრ-  
ფოდი, შევხაროდი, მითი ვამაყობდი და ვუმ-  
კლავდებოდი ყოველივე დაბრკოლებათ?!

უკანასკნელადაც შევებდავ მას!..

იესო! მე მივდივარ, მე მიმიწოლა იელო-  
ვამ და აი, ხედავ იმ მძინარე, სიბერეში  
მყოფ ხალხს:— იგი შენ ღუნა გებარებოდეს,  
—ნუ შეშინდები, ნუ შეძრწუნდები შენ. ფრთა  
ორბისა მოიბი, მძლეობა ლომისა შეიმოსე,  
წარუქმდე წინ ისრავლს და დამკვიდრე იქ,  
სადაც ვისწრაფოდით ეგვიპტეთგან. არ შე-  
გაფრთხობს არავითარმა დაბრკოლებამ, ანუ  
გაქირვებამ. არ შეგაშფოთოს ხალხის დრტეინ-  
ვამ და ყიყინმა. მან არ უწყის საშინელება  
თავის მღვამარეობისა, პასუხის გებისა აღთქ-  
მის წინ, რომელიც მამა-პაპამ, აბრაამმა, ია-  
კობმა, იოსებმა გადმოგცეს სინათლისკენ წა-  
რავლინე ისრაელი! შენ გაბარებ. მოუარე მას,  
ვით თვალის გუგავს... წყალობა იელოვასი იყოს  
თქვენზე!..

თვალცრემლიანი გამოთხოვა მოსე იესო  
ნაველსა და კარზე გამოვიდა

შუა ღამე უკვე გადასულიყო, განთიადის  
ვერცხლის რკალი მოველო აღმოსავლეთის-  
თვის. მოსემ კარგა ხანს უტკიბრა მძინარე კარ-  
ვებს. მერმე მობრუნდა და ნელის ნაბიჯით  
აჰყვა წაბაის კიდეს. მალა ავიდა, სულ მალა  
რთხემსა ზედა ფაზგაზისა, რომელი არს პირის-  
პირ იერიქოსი“. ხელის გულივით გაეშალა  
მოსეს წინ მთელი პალესტინა, დილის სინა-  
ზით აღსახეს და მკრთალ ნისლში გამოხვეუ-  
ლი. ნათელი სახით და უსაზღვრო სიამით აღ-  
სახეს უტკიბრა წინასწარმეტყველთ მწვანეთ  
მოზიბინე დაცვარულ მინდვრებს, ქოჩორა ბაღ-  
ნარს, ჩაფუქრებით მიმდინარე იორდანეს და  
კედრინის ტყეთა... ლიბანის მითი დაბე-  
რილმა ნიაგმა დაუფარცხნა მოსეს თმა, ამა-  
უმშრალა თვლები... მთელი საუკუნე იყო ამ  
წუთში! დიდებული წინამძღოლი დაეშვა მი-  
წაზე და განუტრევა სული. მზე უკვე ამოსე-  
ლიყო და ოქროს გვირგვინი დაედგა მიცვა-  
ლებულისთვის. გარდაცვალა მოსე, დამარხეს,  
ხოლო საფლავი მისი არავინ უწყის მოდღე-  
ინდელით-ღღემდე. ძლიერ ვიწროა მიწა ამ  
გვარ აღმიანთათვის: მათი საფლავი—თვით  
ხალხის ხსოვნაა.

ე პ ი ლ ო გ ი ს ე ბ უ რ ი

ვით ებრაელთა განახლების მამამთავარი,  
იგვე დაიწვი შენც, ტარიგო წმიდაო, სამშო-  
ბლოს ტაძარში. დღეს ტაძარი იგი კარავს  
უპატრონოს დამსვენებია. სამსხვერპლოს ცე-  
ცხლი ოღნავ ბეუტავს, საღმრთო კანდელი სუ-  
სტად ფარფატებს.

არ არის ქურუმი თავდადებული. არ  
არის მემკვიდრე, არსით სჩანს იესო ნაველი!..

1914 წ.

თბოლო



მსახიობი ი. ჟივიძე  
სამხედრო სამსახურში გაიწვიეს



# პატარა ზღაპარი

ლორეთის ტაძარში იღვა ლომობიერების ღმერთის ნონას ქანდაკება. არავინ იცოდა მისი გაზენის და დაარსების ამბავი. ის მუდამ იყო და მუდამაც იქნებოდა. საუცხოო კოხტა თავი ამშვენებდა დაფარულ სხეულს, რაც ქვეყნად სიღამაზე ყოფილა გაბნეული, რაც ღვთაებრიობა დაქსული ბუნების წილში— ყველას თითქო აქ მოეყარა თავი და ამ მშვენიერ ქანდაკების თვალეში დაბუდებულიყო. იმათში ამოიკითხავდა ყველა კაცი თავის ნუგაშს. შეფარებული, დატანჯული, დასჯილი, ღარიბი, დაფარომილი— ყველა ლომობიერებას და საღბუნებას მიიღებდა, იმის თვალების შემხედვარე.

გარდა თავისა სხვა არაფერი ჩანდა. ქანდაკებას ტანზე შემოხვეული ჰქონდა ძვირფასი ქსოვილი, რომელიც ფარავდა მის საღმრთო საიდუმლოებას. ვერც ერთი ქურუმი ხელს ვერ შეეღებდა ქანდაკებას... ყველანი თრთოდნენ მისი სიწმინდის წინაშე. ვიღოდა ეამი და ღორეთის ქანდაკებას თანდათან სახელი და თავყანება ემატებოდა.

მოთაყვანეთა შორის ერთი ვინმე ფარსავი. არავინ იცოდა, სადაური ან ვინ იყო ეს ახალგაზრდა. სულ დაღვრემილი დადიოდა და ქანდაკებას თვალს ვერ აშორებდა. მთელი დღეები იჯდა და თვალცრემლიანი გატაცებით შესტკეროდა ნონას.. მის გარშემო ბაღახი ირეოდა, მლოცველები მიმოდრიოდნენ, მაგრამ ფარსავი არავის ყურადღებას არ ატყვევდა. მისი ოცნება, მისი გატაცების საგანი ნონა იყო.

ერთ საღამოს, როცა ქანდაკებას ჩვეულებრივ მლოცველები შემოეცალნენ და ის, სასწაულოთ მომქმედი, მარტო დასტოვეს, ფარსავი ფეხაქრეფით შეიპარა წმიდა ლომობიერებისთან და გაიშხლართა მის კვარცხლბეკთან. ოდნავ განათებულ ტაძარში ქანდაკებას თითქო ძალა და სათნაობა ემატებოდა. ფარსავი თრთოდა... სახებზე რაღაც გადაწყვეტილება იხატებოდა, მაგრამ საშიშროებას შეგებრო მისი ბუნება. ის დიდხანს იტანჯებოდა, ორ განსიბის შუა მყოფი შ. შ.ს ზარი და სურ-

ვილის ქარტეხილი მის არსებას აფორიაქებდა.

ბოლოს ის გატაცებით შეეტორტმანა კვარცხლბეკს და გმინვით წარმოთქვა: „ღიღი შემიძლიან მეტი მომავალი, ნონა, აქვე გამაქრე, მაგრამ იცოდა, რომ მიყვარხარ... მიყვარხარ და ვეღარ გავძელო! უნდა ვნახო, უნდა განვიცადო, შენი წმინდა საიდუმლოება! უნდა მოგვლიჯო სამოსი, რომელიც მიმალავს მე ამ უნაღლეგ ბედნიერებას! მე ტაძარში ვარ, მე ღვთაებრივ ადგილზე ვდგევარ და მის წმინდათა წმიდამდე ხელი არ მიმიწვდება! არა, უნდა მოგვლიჯო სამოსი და ნუ გამკიცხავ, ლომობიერიო!“

ფარსავი თანდათან ეტანებოდა სამოსს.. და ბოლოს სწვდა ერთ კალთაში და, რაც ძალი და ღონე ქონდა, დათხლიშა ძირს...

საშინელი გრგვინვა შემოესმა ფარსავს. მან იგრძნო, რომ ქვეყანა შეინძრა, ტაძარიც შუა გაიყო. ყოველი მხრიდან ჩოჩქოლი, ხმაურობა და ალიაქოთი ატყდა... ფარსავი გარინდებული იღვა უძრავად. ის თითქო ქვე იყო, ანგარიში ვერაფრისთვის გაეწია და გარკვეულს ვერაფერს გრძნობდა. სწამდა კი, რომ რაღაც საშინელება ჩაიდინა.

ამ საშინელებასთან მის სუცხოვო ნაზინმა შემოესმა და მახლობოდა ვიღაცის ცხელი სუნთქვა იგრძნო.

— „ფარსავ, ჩემო ფარსავ, შენი ვარ შენი, გამაღობ, რომ გამაოცხლები!“

ფარსავმა იგრძნო, რომ ნონამ ხელი მოხვია და თავისი მშვენიერი თავი მას მკერდზე მიაყრდნო.

— „წმინდა ნონა?!“ შესძახა ფარსავმა.

— „ღიღი წმინდა, მაგრამ დღემდის მკვლარი ნონა ვიყავ მე! დღეს კი ცოცხალი ვარ და შენი ვარ, ჩემო ფარსავ!.. მიუწლომელი ვიყავ და წმინდა ვიყავ, მაგრამ მკვლარი ვიყავ და სიცოცხლისა არა ვიცოდი რა! ესლა ცოცხალი ვარ! ოჰ, სიცოცხლე! რა ტუბილი და მშვენიერია იგი!“

ნონა და ფარსავი ფეხ-აქრეფით გაიპარნენ და მიიმაღნენ ღამის წყვილიდში.

გ. რუშაველი



# ჩუმი მოღვაწენი

ღმერთო მივე ჩვენს ქვეყანას  
ბედი და ბედნიერებას!

ვ. კირვალიძე



გლეხი მოღვექვე-მოღვაწე  
**ვასილ ნონიას ძე კირვალიძე**  
(25 წ. სახალხო მუშაკების გამო)

ადამიანთა ნამოღვაწევის აღნიშვნა, რომელ-  
ნიც ყველას თვალში უფარდებიან, და თითქ-  
მის არც კი ახსენებენ, არ ამჩნევენ ისეთ ადა-  
მიანებს, რომლებიც მამულიშვილური გრძო-  
ბით გამოხარნი, მოძმეთა საკეთილდღეო მის-  
წრაფებით აღვზნებულნი, უჩუბრად, შეუშ-  
ნეღლად ემსახურებიან ხალხის განაოფხიზლე-  
ბას, სამშობლო თეატრის გავლენის ზრდასა  
და მწერლობის გავრცელებას...

ერთი ასეთი ჩუმი მუშაკთაგანია ჩვენს  
მდაბიო ხალხში—განსაკუთრებით ხელზე მო-  
სამსახურეთა შორის—კარგად ცნობილი ვა-  
სილ ნონიას ძე კირვალიძე...

ვ. კირვალიძე „საწყაიო რაჭველი გლეხის  
შეაღა“, როგორც თვითონ ამბობს ერთს  
თავის ლექსში, ბალღობდნავე გამოეცქა  
„მინდორს მამუელს და შეჩვეულს მიწასა,  
წყალსა... ეს ის დრო იყო, როდესაც უმიწა-  
წყლობით შევიწროებული რაჭველი გლეხკა-  
ცობა, „ბატონის მათრახისგან შეწყუბებული“,  
როგორც ამბობს ილია ქვაჭავაძე, თბილისს  
მოიწვედა ბედის საძიებლად... ბევრი მათგა-  
ნი მიკურტნენ, დღიურ მუშად, მემტლედ,  
უმეტესად კი ხელზე მოსამსახურედ დგებო-

და... და ბრმა ბედის დაცინვით ამ შინაურ  
ხალხს თბილისში ჩამოსახლებულ-ვაბატონე-  
ბული უცხო ტომი „მოთრეულა“-ს, რამერე-  
და ღვიტეკეაჟაჟა-ს და სხვა ასეთი დამწინა-  
ვი სიტყვებით ამკობდა. რკინის სასიათი უნდა  
ჰქონოდა კაცს, რომ ამ დროს თბილისში  
არა თუ კულტურულ მუშაობაში ჩაბმულიყო,  
არამედ ფეხი მაინც მოეგარებინა... თვით  
ჩვენი დიდი ილიაც კი თითქო უცხოასვით  
შეჰყურებდა ამ „გამოქცეულთა“.

„აქ სად მოსულხარ? რად დაჰკარგე და რად დას-“

ტოვე; მის მავიკრი ტფილასშის აბა რა ჰქოვე?!“-ო.

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ „გამოქ-  
ცეულმა“ ხალხმა თბილისში—თავის სამშო-  
ბლოს დედა ქალაქში—არა თუ რაღაც ჰქოვა,  
ფეხიც მომიგარა და გვეწამს, ჩვენი მომავლის  
განმტკიცებაშიაც იგი დიდს როლს ითამა-  
შებს...

აბა თვალი გადაავლეთ დღეს რამდენმა  
ამ „გამოქცეულთაგანმა“ თბილისში საუკეთე-  
სო სასტუმრო, სავაჭრო ანუ სახელოსნო გა-  
აჩადა და ჩვენი ერის კულტურულ-ეკონომი-  
ურ აღორძინებაში შეგნებით მონაწილეობს...  
და, ვიმეორებთ, ასეთი ხალხის გიოგნე-  
ლად გათვითცნობიერების დიდი მოწინავე  
ჩვენი ვასილიც იყო, პირველხანად ხელზე  
მოსამსახურე (სხვათა შორის, აკაკისთანაც მსა-  
ხურებდა), რომელიც ახლა ბაქოში ერთერთი  
სასტუმროს ერთი პატრონთაგანია...

ვ. კირვალიძე სკოლის სკამზე არა მჯდა-  
რა, წერა-კითხვა თავისით ისწავლა, შემდეგ  
სამშობლო მწერლობის (ქართულ მწერალთა  
ნაწერებით) დაწაფებით განვითარდა, თვითო-  
ნაც დაიწყო ლექსების წერა და არა ერთი და  
ორი აზრიანი ლექსი მოათავსა ქართულ ჟურ-  
ნალ-გაზეთში\*). მაგრამ ვასილი უფრო პრაქტი-  
კული მუშაობით არის ცნობილი: როცა კი  
რამე საერო დღესასწაული გამართულა ჩვენ-  
ში, იგი მუდამ პირველ რიგზე მდგარა ხელ-

\*) მის ლექსთა ვრცელი კრებულის ხელთნაწერი  
ამ პუკარების დამწერთან ინახებოდა ამ ხუთიწლიან წელს  
წინად, მაგრამ მოულოდნელ სტუმართა საქმიანობის  
ქაბს საღდაც გაჰჭრა და დღემდე ვერ გვიპოვია.

ზე მოსამსახურეთა მხრით და ერთის მხრით  
თუ ჩვენს დღესასწაულებს ამკობდა, მეორით  
— ასეთი გამოსვლებითთვისით მოსამსახურეთა  
შორის ეროვნულ-საზოგადოებრივ თვითცნო-  
ბიერებას აღრმავებდა... დღესაც იგი, უკვე  
ჯანგატეხილი (მძიმე ავადმყოფობა გამოიარა),  
თუმცა საკუთარ საქმეშია ჩაბმული, მაინც  
სამშობლო ქვეყნის ყოველ მაჯის ცემას ეხ-  
მარება, ხალხის კულტურულ წინსვლას ხელს  
უწყობს და ზენაარს შეჰღალადებს:

„ღმერთო მიეც ჩვენს ქვეყანას  
ბედი და ბედნიერება! — ო.

და ეს მხოლოდ ცალიერი სიტყვები არ  
არის მისი: ამ ნატერას საქმიანაც ასრულებს,  
რომ მართლაც ჩვენს ქვეყანას მალე ელირ-  
სოს ბედი და ბედნიერება!..

გაუმარჯოს ასეთ მუშაკთ!..

**იოსებ არიმათიელი**



**კალენიკე გ. ანთაძე,**

ჯარის კაცი, ერთხელ დატრილი გერმანიის ფრონტზე,  
ექვსი თვის შემდეგ ხელმეორედ გაიწვიეს ბრძოლის ველ-  
ზე. პრილომისაგან გარდაიცვალა 17 იანვარს 1916 წ.  
ბადიამის სამხედრო ლაზარეთში. მშობლებმა წაასვენეს  
გურიას, სამშობლო სოფ. ბელოვითში. ამისი მეორე  
მშაპ ასე დაიღუპა ტრალიკულად ბრძოლის ველზე ამ  
ერთ წელიწადში.

**ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი**

**ნ უ შ მ ი ი ზ რ ა ლ ე ბ ა თ ი!**

თუ მამაკურად ბრძოლისა ველებ  
ვერ მოვიხილო სამშობლოს ვალი,  
მამულს უჭირდეს და მე კი იმ დროს  
ქარტაშში მგვოს პირბასისი ზვლი, —

მაშინ, ოხ, მაშინ, სამშობლოს მთანო,  
მაშინ თქვენ ჰეი, ამაყნო გმირო —  
ნურც მკედარს, ნურც ცოცხალს, ამას გავა... ებით  
ნუ შემობრალეობ, ნუ შემობრალეობ!

**გეფხო ფშაველი**

**ქ ა მ შ ნ ი ს გ ვ ე ლ ი**

აღისფერია მთვარე ცის თაღზე,  
ღრუბელი სხივთა ცეცხლში იწვება,  
წყარო ჩუხჩუხით ყვავილთ წიაღზე  
მიიკლავება და ხეფში წვება...

სისინობს სიო,  
ბიბინობს მოლი,  
თვალს აუტუნებს  
ზედ ნამი ბროლი...

იას ყელს უმკობს  
აღმასის რგოლი,  
ტოკავს, თახთახობს  
ლხენით ფოთალი...

და მეც მგზნებარე ფიქრ-ატეხილი  
ვეუყვი სატრფოს, ვუხმობ და ველი;  
ლორჯ ნისლთა ზღვაში მთათა გრეხილი  
თვლემს უპასუხოდ, თვლემს ტყე და ველი  
ცრუ მოლოდინით შეთალხულ ქნარზე  
სიმთ შამოვქლო კაეშნის გველი...

რა რიგ გაშავდა მთვარე ცის თაღზე,  
ცხარე ცრემლთა ქვეშ მოსთქვამს ღრუბელი,  
მოსკოვი. **დ. ცვარნამი**

**ს ი მ ლ ე რ ა**

(საღხურ კილოზე)

ვინ არ იცის, რომ ბულბულის  
სჩაგრავს ყვავი ყვანჩალოო,  
წყეულია მისი გვარი,  
უნამუსო, ჩინჩალოო!

მის ჩხავილი ხალხსა ჰზარავს,  
მოაგონებს რაღაც ავსო, —  
ნეტა იყვებს მარდი ვინმე,  
გაუგლიდეს მაგრად თავსო, —

მაშინ გული ჰპოვებს ღვენას,  
ამუსიკებს ტკილიად ენას  
და ბულბულიც, დაჩაგრული,  
სამურად იწყებს სტვენას...

**იანო ტეტუნაშვილი**



**თუშური ლეჩხეზი**

ქალო რისთვის გიხარიათ  
 კარგი ყმისა ცოლობაი?—  
 კარგი ყმისა ცოლობასა  
 კარგი უნდა ქალობაი:  
 შინა სახლსა რიგი უნდა,  
 კარე-კურსა შვენებაი;  
 სტუმარსა კარგა დახვედრა,  
 კარგი გულის ჩვენებაი.

დაიცა, ნუ წახვ, მკედელო,  
 ლურსმან-გამიკეთ ნაღისი,  
 ცხენს უნდ დავაქრა ფეხებზედ...  
 პირობა მაქვის ქაღისი.  
 ვაე-ქალის მოარშიყესა  
 ჩოხი უნდ გეცვას ჯაქვისი,  
 ცხენიც უნდ გეყვანდეს ისეთი,  
 რო ტოტი ჰქონდეს ქარისი,  
 ენაც უნდ გქონდეს ისეთი  
 მიქტე-მოქტეულ ქლარისი.

**ბად. გელოვანი**



მუშა მომდერად-მკალობელთა ლოტბარი

**მ. კ ა ვ ს ა ძ ე**

სარგობას დიდ კონცერტს მართავს სახალხო სახლში.

**მუსიკოს-მასწავლებელი**



**† იოსებ გიორგის ძე მონადირიშვილი**

ულმომეღმა სიკვდილმა არ დაუფანა, ჩვენს  
 საზოგადოებრივ ბანაკს კიდევ ზარი ჩამოურგა  
 და ქართულ მუსიკოსთა მდირე გუნდს ერთი ნი-  
 ჭიერი წვერი წარსტაცა...

სამშაბათს, 15 მარტს, თბილისში მოუ-  
 ლოდნულად სიღამბლით გარდაიცვალა ჯერ კიდევ  
 ახალგაზრდა (45 წ.) მუსიკოს-მასწავლებელი იო-  
 სებ გიორგის ძე მონადირიშვილი...

ო. მონადირიშვილი დაიბადა თელავში  
 1871 წ. 28 ქრისტეშობისთვეს, სწავლობდა თე-  
 ლავის სასკოლ. სასწავლებელში, შემდეგ გადავიდა  
 თბ. სას. სემინარიაში, სწავლ 21 წლისამ დაამ-  
 თავრა კურსი. (შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში  
 შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე). მასწავლებ-  
 ლობდა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელ-  
 ში (2 წელაწინ), შემდეგ ქართულ გიმნაზიაში  
 სიკვდილამდე. დაწმა ცოლი და სამი წერილი  
 ბაღდი (უფროსი შთავანი 7 წ.).

მუსიკის სიუფარული და ნიჭი ი. მონადი-  
 რიშვილმა სიუმაწვილიდანვე გამოიჩინა: საერთოდ  
 ქართულ მუსიკაში და განსაკუთრებით სამხმეფენ  
 გალობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. დაწერილი  
 აქვს სხვა და სხვა რომანსები, ზანქვის ტროპა-  
 რები და სს.

იგი ცნობილი იყო ვითარცა ნიჭიერი სა-  
 ეკლესიო ლოტბარი. ამ რამდენიმე წლის წინად  
 შეადგინა მკალობადთა გუნდი, კარგა ხანს საუ-  
 ცნოოდ აკალობებდა ეკლესიაში და მშობლიურ  
 გალობის სიუფარულს აფიქსებდა.

კურთხეულიმც იოს სსხედი მისი და სსოგ-  
 ნს კი — უფვაფი...

# ბ რ ი კ რ ტ ი

ბიესა სამ მოქ. და თხზ სურათად  
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 11)

## IV

**გიორგი, სონა და ილია ლუკიჩი** შემოდან. (სონა თავის თათხში შედის. გაორგი ხელტოს გახდის და ილია ლუკიჩს შეაქვს გიორგის თათხში, რომელიც სწრაფად გამოდის ისევ სტენახე. გიორგი სწრაფად ჩაჯდება და სიგარას უკადებს)

**ილ. ლუკ.** (მზარდად) ძალიან დრო კი გაეპარეთ, ბატონო გიორგი, სწორედ რომ დაუფიწყარი ქეთი გვქონდა.

**გიორ.** ქეთივც კარგი იყო და კურთხვებით ბევრი ვნახე. დიდი ჩუდავი კი არის ეს ვასილ ივანჩი (ივანის) მე რომ მადის უფროსი ვიყო, მახრას კი არა, ხუთ ბატს არ მივბარებ. არა როგორ გასულელდა, როგორ გაგიყდა კაცი!

**ილ. ლუკ.** ის, ბატონო გიორგი, სულ იმ შავთვალა ქალღმის ბრალი იყო. იმათი ეშხით იყო ის ყანწები რომ ხუხა! (ივანის)

## V

**გიორგი, ილია ლუკიჩ და სონა.**

**სონა.** (ეურს მოჭრავს ილია ლუკიჩის დახაკს) აბა იმ ქილებმა დაუყენეს იმას თვალეები. ქალებს არაფერი დაჰკლებია და ის კი სამასხარავო გახდა! არა, ის სკამი, რომ ვადმოუბრუნდა და ყირამალა ვადავარდა ის იყო სერი. (ივანის)

**გიორ.** (ილია ლუკიჩს სიცილით) სასაცილო ის იყო, ბარიშები რომ ვეღარ ვაარჩია და შენ სიდერის დაუწყო არშიყოზა!

**სონა.** თხზილია წლის დედაკას! (საყრათო სიცილით)

**ილ. ლუკ.** (სიცილით დასეკულები) ბევრი ცხახა: „შვილო, შვილოვო“, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. (ზარას ხმა ისმის)

**გიორ.** ვინ უნდა იყოს ნეტა!

**სონა.** ვასილ ივანჩი არ მოჩერებდის მთვრალი, თორემ აიკლებს აქაურობა! (სიცილით)

**ილ. ლუკ.** ის ახლა კი არა... (ილია ლუკიჩს მიმართ) ერთ კვირასაც ვერ მოიკვივდის აქაურობაში. (სიცილით) მთვრალი იყო! (ილია ლუკიჩს ხმა)

**გიორ.** რა ამბავია, სად არიან ეს გოგობიკები! დედიჩნათ, თუ რა ღმერთი გაუწყრათ!

**სონა.** (სიცილით) იმათაც ხომ არ გამოგვიცხადეს ბოიკოტი! (კიდევ ზარას ხმა)

**ილ. ლუკ.** მოითმინეთ, მე ვნახავ ვინ არის.

**სონა.** მოითმინეთ, ილია ლუკიჩ, დაუძახებ, ბიკი მოვა და ის გაულებს კარებს! (სონა ზარას ურევავს ხედავს)

**ილ. ლუკ.** არაფერია, ბატონო, მე გეხლებით! (გადის)

**სონა** ნამდვილათ ისინიც გვეფიცებიან, თორემ სად არიან აქამდის!

**გიორ.** გვეფიცებიან და ყველას ჯავრს მაგათზე ვიყრი, მაგ ლაწირაკებს! (გაჯავრებული რევს ზარს. ამ დროს შემოდის ილია ლუკიჩი, ტელეგრამა შემოაქვს.)

**გიორ.** უკაცრავად, ბატონო ილიკო, შეგაუწხეთ. ეგ რა ტელეგრამაა?

**ილ. ლუკ.** დიახ, ტელეგრამა ვახლავთ. პოსტალიონი რედა თურმე. (გორგო გამოაჩნდება ტელეგრამის და წუხად კითხულობს. გაჯავრება ეტეობა. ჩქარას ნახაჯით იწყებს წინ და უკან სიარულს.)

**სონა.** რა ამბავია, გიორგი, ვისგან არის დებემა?

**ილ. ლუკ.** ცუდი ხომ არაფერია, ბატონო გიორგი?

**გიორ.** ცუდზედ უარესია, ჩემო ილიკო. წაიკითხე და გაიგებ. (იძვევს დეპეშას) ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია ჩემ თავს! ნუ თუ ჩემი სახელი, ჩემი სიძლიერე, პიროვნება მაგ მურიანებმა უნდა დასთრგუნონ. (სწრაფად ჩაჯდება)

**სონა.** (რომელიც აქამდის გაცხლებული უყურებდა, გიორგის ამშვილებს) დაწყნარდი, ჩემო გიორგი, რატომ აღელდი ასე, რა ამბავია! (ილია ლუკიჩს ბატონო ილიკო, მეც გამოგვინეთ დებეშის ბატონო, რაშია საქმე?)

**ილ. ლუკ.** არაფერია ბატონო სონა. ეს საქმე ვახლავთ, სადაც იწერებიან, რომ საქონელი გვიპირდება და ვადახე ჩავვაბართო.

**გიორ.** არა, ნუ თუ მე მათი სასაცილო უნდა გავხედე, ნუ თუ ვილაც მუშებმა უნდა



**პორუჩ. სერგეი ნიკოლოზის ძე აგულოვი** სამხედრო-სამედიცინო აკადემიის 3 კურსის სტუდენტი, სარკინოების ლაზარეთში სახალით გარდაცვლილი.

გამტეხონ წელში! არა, არა, მე მათ სურვილებს, რომ დაიხილნენ, არ შევსრულებ. (იღია ლუკის) მისწერეთ დღემე მაგ ფირმებს რომ ვერ გაუგზავნი საქონელს გაფიცვის გამო. დეე, ვიზარალო, სულაც რომ დავიღუპო, მე მაინც მაგათ ჩონგურზედ არ ვითამაშებ. თუ უნდათ ძველ პირობებში იმუშაონ, ისიც ნახევარს გავყრი ქარხნიდან. თუ არ უნდათ—დავკეტავ წარმოებას და მაგათ კი არ ვათქმევინებ, რომ მოვერიეთ, შევაშინეთ და დავგვამაყოფილაო.

**სონა.** გიორგი, რა დავგებართა! შენ თავს ანგარიშს არ აძლევ. მოიცადე ვიფიქროთ, და როგორც სჯობდეს ისე მოვიქცეთ.

**ილ. ლუკ.** ბატონო გიორგი, არც ასე გაჯავრება ვარგა. რათ იშფოთებთ გულს. დამშვიდდით, ავწონ-დავწონით საქმე და როგორცა სჯობდეს ისე ვიმოქმედლოთ. (მაჯღია შემოდის)

**VI**

ივანე და პავლია, შუშუკე კესა.

**გიორ.** სადა ხარ აქამდის, ზარის ხმა არ გესმის?

**პავ.** (ხმას არ იღებს)

**გიორ.** რას განუმებულხარ, შე ვირო, შენა!

**პავ.** (ხმას არ იღებს)

**გიორ.** (სონას) დარეკე ზარი იქნებ გოგო მოვიდეს, ვნახოთ ის რას იტყვის. (სონა რეკს ზარს, გიორგი ისევე მაჯღიას მიუბრუნდება) რატომ ხმას არ იღებ შე არამზადაე, ენა

ხომ არ ჩავივარდა! სადა ხარ აქამდის?

**პავ.** (ხმას არ იღებს)

**გიორ.** (გაბრაზებული) ბიჭო, შენ გელაპარაკები სადა ხარ მეთქი აქამდის? (შემოდის კესა გიორგი კესას და მაჯღიას) ეს რა ამბავია ზარს გირეკავთ და არავინ მოდისხართ!

**კესა.** (ხმას არ იღებს, მაგრამ სირცხვილით წითლდება)

**სონა.** გოგო, რას დამუნჯდო, სად იყავი აქამდის სთქვი.

**კესა.** (ხმას არ იღებს)

**გიორ.** (იღია ლუკის) მე ხომ გითხარით, ილია ლუკის, რომ იმ საციმიპროებს ყველგან აქვთ თავიანთი ქსელი გამბული მეთქი. ხედავთ ესენიც გადაურევიათ. აბა, თუ გინდათ სანაძლეოზე დავრეკოთ კიდევ ზარი, მოვიდეს ის ბებრუხანა მზარეული, თუ იმასაც ასე არ ჩავარდეს ენა! (რეკავს ზარს, შემოდის ბესარიონი)

**VII**

ივანე და ბესარიონი.

**სონა.** ეს რა ამბავია, ბესარიონ, ნუ თუ ზარის ხმა არ გესმით, რომ ყურს არ აპარტყუნებთ!

**ბესარ.** (ხმას არ იღებს)

**გიორ.** ეს რა შეთქმულობაა! ვის ეფიცებით, თუ თქვენც ბოიკოტს მიცხადებთ! გაცხრესავთ როგორც ქიას, თქვე ლაწირაკებო, თქვენა. (არც ერთი მოთვანი ხმას არ იღებს) აბა ერთი მიზრძანეთ, ბატონებო, თქვენ რაღა გნებავთ?

**პავ.** უერთდებით მთელი მუშებისა და საზოგადოების აზრს და ჩვენც, მათთან ერთად, ვიფიცებით და ბოიკოტს გიცხადებთ, სანამ მუშათა მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებთ.

**გიორ.** (სიბრაზისაგან სიკვდილის მიდის სრულიად ნერვებ აშლილი სხშინდად დაიფიცებს.) გასწით, გამეცალეთ სახლიდან. აღარა გნახოთ ჩემმა თვალებმან. (გაჯავრებული დადის) გასწით ეხლავე, აიკარით გულანახალი, წაიდეთ თუ რამ გერგებათ და მისცილდით ამ არე-მარეს თქვე მუქთა-ხორებო, თქვენა! (მაჯღია თვალით აჩიშუბს წასვლას. პირველად თვითონ გადის, მას მიჰყვება კესა; შუშუკე ბე-



საჩინო) ლაწირაკებო! არ, ეგენიც რომ ამყენენ ფეხის ხმას! წაიღინენ ესლა და იარონ.

**სონა.** ერთი უყურეთ მზე გასაწყვეტებს. არა, მაგათ ვიღამ ასწავლა ეს ბოიკოტი!

**გიორ.** ასწავლენ და აბა ვნახოთ, რას იზამენ. (შედის გაჯავრებული თავის ოთახში) (შემდეგი იქნება)

**ვოგოი**

**კ ი თ ხ ვ ე ბ ი**

(ქ. ხარკოვი გამართულ ქართულ ტრადიციულ საღამოს გამო)

რად დანკირდათ, რა ის საღამო ქართული ტრადიციული საღამოსა სხელით მინათლეს? იქნება იმისთვის, რომ საღამოს წინ დასარიგებულ ზღაპრებზე კურტინანი რაჭველი მუშისთვის ღვინით სახსე ტიკტორები აკვიდნათ? — ანა და ზაფიშეზე და მსხვილის ასოებით (ვიდრე თეთი — Грузинский вечер) „Шашлык“ წაქრათ?..

იქნება იმისთვის, რომ ქართველის დაუღვერობისა და უწესრიგობის კვალი საღამოს ყოველს ნაწილს და ყოველს განუთილებას ყოველგან ნათლად აჩნდა?.. ანა-და იმატომ რომ, რამდენიმე, კინტონ ტანისმისში გამოწვობილი სტუდენტი, — თეატრის ფოთიში „ჩვენებურად, დარდიმანდულად“ ბანოვანთ ულაზღანდარაგებოდა? თუ არა და რა იყო ამ საღამოზე ქართული — ეს სხელი რა უწოდეს?!... იქნება იმისთვის, რომ ბატონ ლიტბარს (გ. ბ. — შვილი) გუნდი ვერ მოკმისადებინა და ისე ულაზათოდ ააგანულა იგი უცხო საზოგადოების წინაშე? განა ღამისას მსმომბლოსა ისეთი უშნო შესრულება უნდა? განა ცოდვა არ აჩის, რომ ისე დაამახინჯეს გულის დამატუვევებელი ჭინგები მისი?.. განა შეიძლება ასეთი გულგრილობა?.. იქნება იმისთვის, რომ უმადლეს სსწავლებელში მუთის — მენიერების წუაროს დაწყებულს ახალგაზღობას ვერ მოესერებინა — უცხო დამსწრე საზოგადოებისთვის რამე ცოდვად სახრდო მიაწოდებინა?.. ასეთი უშინაარსობა შექმნის მისი?... ნუ თუ არ შეეძლო ვისმე ან

მისხენება (დეე, თუნდ რუსულ ენაზე), ან სხვა იმის გუარი რამ წაკეთს — ჩვენი დღევანდელი ბედშაის მდგომარეობის შესახებ, რომ ამით მანინც დაწახეგებინა — დღეს, თვალ რადე-ახვეულ რუს საზოგადოებისთვის ესოდენი ტანჯვა ჩვენის ერის ობოლის სულისა, — სულ ერთია, ჩველანებოდა, ისტორიადნ თუ თანამედროვე ჩვენის ცხოვრებადნ იქნებოდა იგი?

არ შეგუევენის, ათსჯერ არა ასეთი უნდილობა, — ცოდვა ასეთი უყურადღებობა...  
ნუ თუ მარტო „Шашлык“ და „ღოლი“ და გვაქვს ქართული?!

ნუ თუ ეს სტუდენტობამ ჩაიღინა?.. ნუ თუ კიდევ განმორდება შემდეგში ამგვარი რამ?..  
— არა, დროა, გამოვიდვიოთ... ქვეყანა ირუევა... სოცო ნეცხლითა და სისხლით ჭქმნის თავის ერის ბედნიერებას და ნუ თუ ჩვენ განთიადი საქართველოსი, რომელთაც სელით-სელ უნდა ვაკომინათ მისი გაბზარული სიტუცხლე, უნდა გამოურკვევლობის ბურანში ვიყუენთ სემუდამოდ კართული?..

დროს...  
მოკალეობა უგვე გვიზობას, გვეძახის...  
მ — ოლი

ქ. ხარკოვი



ნეტორ გიორგის ძე თოფურჩიძე  
ჯარის კაცი, ოსმალბთან ბრძოლაში მოკლული.



# ც ხ ც ი ა ნ ე ლ ი

(ი ა კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი ს ს ხ უ ლ ი ე რ ო კ ო ნ ც ე რ - გ ი ს გ ა მ ო 13 მ ა რ ტ ს ახ. კ ლ . 4 )

აიწია ფარდა...

სენაზე თბ. სასულიერო სემინარიის მოწაფე-მგალობელთა გუნდია, მის წინ ზურგ-შემოქცეული შავად მოსილი კაცი...

წუთიც და ამოძრავდა ცაცია ხელი, მოისმა მძიმე ხმა...

ცაცია ხელის პატრონი გუნდის ლოტბარია, მუსიკოსი ი ა კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი, რომელიც მხოლოდ მარცხენა ხელს ამოძრავებს, მარცხენათი სწერს და ლოტბარობს, მარჯვენა კი დადუნებული აქვს, თითებ-დაკვლანძული უბედური შემთხვევისა გამო, ამ ათი წლის წინად რო დაშვართა ბორბტმა ხელმა...

მაგრამ ეს გარეგნული ნაკლი კი არ ამცირებს ჩვენს საყვარელს მუსიკოსს: არა, კიდევ უფრო უუქსა ჰყენს მის გულგაუტეხობას, საქმის სიყვარულსა და მადლიან მუშაობას...

„ვისაც ჩემი სიკბაზეყ არ უნახავს, ნურც ჩემს სიბერეს უჩვენებსო, —უთქვამს ჩემნი ხალხის სიბრძნესა და მართლაც:

ახლაღ თვალწინ მიდგას რამანსუხის ძეფე ი ა კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი, ამ 20—23 წლის წინად, თბ. ძველ სახაზინო თეატრში მთელი, ქართველი და უცხო, საზოგადოება რომაჯადლოვა თვისი „დღეს მერცხალი“-თ და სხ.

მაგრამ არც მეორე ანდაზაა მცდარი: ბებერი ხარისა რქანიც კი იწყვიანო...

მართალია, იას სიბერემდე ჯერ ბევრი უკლია, სწორედ ახლა მოველით მისგან უფრო დასრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებს, მაგრამ სიკბაუკის ცეცხლი მინც თითქო მიჰნელებია...

და სწორედ ამ გარეგნულად მიწვლეულნი, მაგრამ შინთი უქრობი ცეცხლის გამოწაშუქია მისი უკანასკნელი სასულიერო სავალობელნი, 13 მარტს სასულიერო კონცერტის სახით შესრულებული ახალი კლუზინისა დარბაზში.

წყნარი, სასოგების მომგვრელი, არა ამ ქვეყნიურ განცდათა აღმძვრელი, სულის ამჩუყებელი,—იი, როგორი იყო იგი...

მართალია სავალობლებს ერთფეროვანება, ერთკლოვნება ეტყობა (თვით პროგრამა ერთფეროვან სავალობელთაგან იყო შემდგარი), მაგრამ ნუ თუ ჩვენი წარსული გრძელი ისტორიული ცხოვრება, ტანჯვა-წამებით აღსავსე, უმეტესად ერთფეროვანი არ იყო?!

და ჩვენმა ეროვნულმა ეკლესიამ ცერის სულის კვეთება, იღუმალი იოქმა ხალხის სილუბქირეთა, სულიერ განცდათა სინამდვილით აღბეჭდა: მთელი ვალობა ითქო განუწყვეტელი სინანულის ლოცვათი...

ნაკლი?

მაგრამ რომ იყოს კიდევ, ჯერ სავალობელთა ნაკლის აღსანუსხავად არა გვეკლიან...

საღამოს ნაკლი უბირველესად ის იყო, რომ ვინც უფრო მეტის ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს სამშობლო ეკლესიას—ქართველი სამღვდლოება—ნაკლებად დაესწრო: სულ ოციოდე ქართველი სასულიერო პირი...

სამაგიეროდ დაეწრენ პლატონ ექსარხოსი, რუსები სპარსეთის, საელჩოს წარმომადგენელი და, თათრებიც კი და... განმარტება საქირო აღარაა... \*)

მეორე ნაკლი—ქართული მუსიკის ზოგიერთ მუშაეთა აღმაცერად ლაპარაკი, თითოეულის მათგანის მიერ თავისთავის გარეშე სხვისი ნაშრომის არარად აღიარება...

უმთავრესი ნაკლი კი ისაა, რომ ჩვენს საზოგადო, სამუსიკო, სასცენო თუ სამოქალაქო ცხოვრებაში ჯერ კიდევ მხოლოდ ცხცაა, მარცხენა სჯედი საქმობს, მარჯვენა კი დადუნებულია... ჯერ კიდევ ცალი ხელით—მარცხენათი ვმუშაობთ, ჩვენს საერო საზოგადო საქმეებს ჯერ კიდევ რამდენიმე კერძო კაცი თაოსნობს, ბევრი გაპირვებით, და მარჯვენა, მძლოვარი მხარე კი...

ნუ თუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მარჯვენა ხელი აღარ ამუშავდება?!

ქ ი მ ი შ ტ ო კ მ ა ნ ი

\* ქართველი სასულიერო პირთაგან დაესწრენ ეპ. ანტონი, არქ. იოანე და ნახარი, დეკ. 5. თალავაძე, ნ. მებარაშვილი, ე. ცინცაძე, ე. კვეციანი, ს. შოშიაშვილი, მღ. ვ. კარბელაშვილი, ი. მირიანაშვილი, ნ. და ლ. ნათიძენი, ა. კაკაბიძე, მიქელაძე, ფხვალაძე, სარალიძე და ორიოდე სხ.

# ჩვენი დროის ეგვიპტეები

(თანამედროვე სურათები)

(დასარული. იხ. „თ. და ც.“ № 10)

— მაშ, შენ ამტკიცებ, რომ ქალი მხოლოდ გრძობათა დღევის დასაკმაყოფილებლად არის გაჩენილი? შევეკითხე მე.

— სწორედ, სწორედ. Эта аксиома.

— სცდები, ჩემო კარგო, სცდები...

— А ты какъ думаешь, თითონ ქალები კი იმას არა სცილობენ? Чѣмъ объяснить то, что дღეს ერთს დასდევენ და სულ მეორეს? Тѣмъ, что ერთი მოსწყინდეთ... ახლა მეორე და მესამე უნდათ. А если не вѣришь я могу доказать фактами — აი, წაიკითხე. ამ სიტყვებით მან უბის წიგნი ამოიღო და რამდენიმე რუსული წერილი მომაწოდა.

— რა არის, კაცო რომ ყველა „люблю! люблю! приходи, приходи და твоя твоя“ — სიბახიანი. წამოვიძახე მე დიმილით წერილები და გადკითხვის შემდეგ.

— Вотъ видишь — ყველა ერთ კვიცსა აარიან. ახლა შენ ისიც იფიქრე რამდენი კომისთანასთან ექნებათ მიწერილი ვე „люблю, приходи და твоя“.

— მე მაგაზე არ გეწინააღმდეგები, მაგრამ ჯერ ვე ერთი, რომ მაგით შენ იმას ვერ დამატკიცებ, ვითომ ქალი მხოლოდ ენებათა დღევის დასაკმაყოფილებლად იყოს გაჩენილი; მეორედ — მართალია არაა მავისთანა ანიკა, ბენიკა, მარუსიები, მაგრამ ვე იმას ხომ არ ნიშნავს, ყველა მაგათ ჰგვანდეს. რამდენია იმის მაგალითი, რომ ქალს პათიოსნების დასაცევლად მხეც მოძალადესთვის თავი ზედ შეეკლას; ანუ უმანკოება მოტაცებულს სიცოცხლისთვის სიკვდილი ემაჯობინებინოს. შორს არ წავალ, ამ ცოტა ხნის ნამდვილ ამბავს ვიამბობ. ე — რ სა — ში ერთი ზიამაშვილი მყვანდა, ნინო, მგონი შენც იცნობდი, ის უბედური ვილაე გიმწახიელს მოეტყუებინა და აი ჯერ თვენახევარიც არ არის რაც მტკვარში გადავარდა.

— სულელი ყოფილა! — მაგაზე გაკეთებულ საათს დახედა და წამოვლდა.

— Уже половина двѣнадцатаго, такъ, что მე უნდა წავიდე. До свиданья...

ამ სიტყვებით ჩამომართვა ხელი და გასწია...

სულ ერთი საათი არ გავილოდა მის შემდეგ, რაც შალვა წავიდა, რომ ლოგინზე მის უბის წიგნი ენახე. აქ დარჩენოდა. ავიღე, გადავშეხე და იმ წერილებთან ერთად, რომლებიც მე წამაკითხა, კონვერტით რამდენიმე ქართული წერილი მომხვდა.

— უბედურ ნინოს ნაწერი. — წამოვიძახე გამწარებულმა. ოხ! ნუ თუ ეს მტარვალი იყო მიზეზი მის უბედურებისა. კიდევ იმითამ წავიდა ისე მალე იმ უბედურის ხსენებაზე. წერილები რიგზედ ელაგა და მეც მიყოლებით დაუწყე კითხვა.

„შალვა! მაპატიე რო გუშინ ვერ მოველ დანიშნულ ალაგას. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ნუ დამემდურები. ნინო.“

2 პარილი

ჩემო ძვირფასო შალიკო! მივიღე შენი წერილი. ოხ! გენაცვალე, რომ იცოდე რამდენი ვკოცნე! ჩემო სიცოცხლე, ნუ თუ დარწმუნებული არა ხარ ჩემ სიყვარულზე? მიყვარხარ გენაცვალე, მიყვარხარ! შენი წერილი უბეში შევინახე. ესლაც ამან გამოზადეცა. ჩვენებს სძინავთ. ამ წერილს ლოგინში ვწერ მთვარის შუქზე თანაც შენ წერილს ვკოცნი. რაღა მოგწერო. მშვიდობით ჩემო სულის დემა, ჩემო სიცოცხლე, მშვიდობით! ვადაგებევი და ვადაგოცნი იმდენჯერ რამდენი ვარსკვლავიც ეხლა ცაზეა. ხვალ გელი თეატრში. კუბოს ფიცრამდე შენი ნინო.“

15 მაისი, დამის 2 საათი

ჩემო ძვირფასო შალიკო, რა არი გენაცვალე, რომ შენი ნახვა დამანატრულე. ეს მესამედ მომეატყუე. თითქოს მოხვიდოდი? გენაცვალე, წუხეთ სიზმარში ერთ მშვენიერ ბაღში ვიყავით და ტბის პირად ვისხებიეთ. მთვარიანი ღამე იყო და იქაურობა თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა. მე ჟინიანად ვკოცნიდი, შენ კი რაღაც დღვრემილი მიყუ-



რებდი. გამომედიოდა. ბალიშს ჩავკროდი. აღარ დამეძინა. ფეჟირობდი იქნება მართლა ვაწყენინე რამე მეთქი, ბევრი დივიფიკე, მაგრამ რა ვქნა გენაცვალე, ვერა მოვიგონე რა. იქნებ ის გეწყინა, რომ სამხედროში შესვლა დაიშალე? აქ მგონი საწყენი არა არის რა. ნუ თუ ღარწმუნებულები არა ხარ, რომ მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიან? თუ შენს თავს მომტაცებენ, მე რაღად მიინდა სიცოცხლე. არ ვიცი, ჩემო სიცოცხლე, რა ვქნა სულ შენს ფიქრში ვარ. გენაცვალე, რომ იცოდე თუ როგორ მწყურთან შენთან ლაპარაკი იმეღია უემქველად მნახავდი. მშვიდობით, გენაცვალე, მშვიდობით! ხვალ საღამოთი გელი თქვენ გიმნაზისთან. იმეღია მნახავ. თიბათვის ნ. შენი ნინო.“

„შალიკო! არ ვიცი რას მივაწერო შენი ასეთი ქტევა. წინათ თუ ერთი წამი არ შავდლო უჩემოდ გაგეძლო, ახლა თვალსაც მარიღებ. გუშინ გახსოვს ერთ ვიღაც გიმნაზიელ ქალს რომ დასდევდი? გახსოვს ჩვენ ე—ებს რომ დასცილობდი? მე უკან მოგდევდით და თქვენ ლაპარაკს ყუბი მოვკარ, შენ დამინახე კიდევ მაგრამ იმ წამსვე თვალი მომარიღე. ოხ! ნეტა ვიცოდე რას ნიშნავს ეს! ნუ თუ ეს იყო შენი სიყვარული? შენგან ამის არ მოველოდი. ნინო.“

27 თიბათვე

„გაგივე შენი სამხედროში შესვლა შენ ხომ აღარფერს მაგებინებ, გრცხვენოდეს. როგორც გაგივე მგონი გიორგობისთვის 13-ში გამოუშვებენო. თუ მინამდის დარღს გაუძელ, მაშინ მაინც მნახე.“

13 ნენენისთვე

„შალიკო. მე ამას არ მოველოდი შენგან. ნუ თუ მარტო ევა ხარ? ეგ იყო შენი წრფელი სიყვარული? თუ ესე მალე მოგებერდებოდი რად მატყუებდი? გახსოვს 16 მაისის ღამე? აბა მოიგონე იმ ღამეს რომ მითხარი უფერ წარმომიდგენია უშენოდ სიცოცხლე—ო, ნუ თუ მარტო იმტომ მეუბნებოდი იმ სიტყვებს, რომ ჩემი ხორცი ღამტუბარიაყვ? ეგ იყო შენი სიყვარული? მტყურ თინის მოკვლა და შემდეგ ხელის კვრა, გრცხვენოდეს... გრცხვენოდეს. მეტს არას გეტყვი. ვანა არა

„იმ“ ღამეს „იქიდან“ რომ მოვედიოდი, მე სიარული რომ ველარ შევქმელ... ეტლში, რომ ჩამსვი—მე რაღაც შეგატყე. იმ ათიოდე წუთის წინ თუ შეკვროდი, თუ ზედ მადნებოდი, მაშინ ხმასაც აღარ მტყემდი. გახსოვს გამომშვიდობების დროს ზედაც აღარ შემომხედენ კი რაღა გინდოდა. ხომ დასტები ჩემი ხორციით და... მე კი ის ღამე ტირილით გავათენე. მას შემდეგ სირცხვილით გარედ ველარ გამოვდიოდი—მეგონა თუ ყველამ იცოდა ჩემი ..... (აქ წერილში წინწყლები ისხდა). მას შემდეგ მე უბედური ასე შეუშენველად ვქვებოდი. შენ კი ნახვის ღირსსაც კი აღარ მხდიდი. ესლა? ნუ თუ არავითარ სიზრალულს მაინც არ გამოიწვევს შენში შენგან მჩვრად ქტეული აღმაინი?... მაგრამ... მგონი თავიც მოგაწყენე. შენ ინეტარე... მე კი სასიცოცხლო აღარ ვარ... ჩემ მშობლებსაც შეუტყვიათ... სანამ ამ წერილს მიიღებდე, მე უკვე მტკვრის ტალღებში განუტყვევებ ტანჯულ სულს. საუკუნოდ მშვიდობით და ეს იცოდე ჩემგან, რომ ვერაფერი ვაქცაობაა უმანკოს მოტყუება და მის წრფელ სიყვარულზედ სიცოლი. შენგან გაუბედურებულები.“

გავათავე. მწარე სევდად მომიცვა. თვალცრემლიანმა ესლა წავილულლულე: ოხ! ნუ თუ ჩემ სამშობლოს ასეთი შვილებიც უნდა წარმოეშვა?! მაგრამ... ვაი, რომ ცული დროცული შვილების წარმოშობა ყოფილა...“

ს. კაეშნიშვილი



სახალხო სახლში 9/III წრემ, პირველად წარმოადგინა ღანგანის 3 მოქ. დრ. „მარტალ ტურაზერი“. პიესა მეტად მოსაწყენია და სუსტიც. ამ წარმოებებზედ მისი პიესისა, კალიგრატონდენ აღმსრულებელნიც.. სიცოცხლის შეტანა შეეძლო მხოლოდ ალ. იმედაშვილს, მეტადრე ზოლო მოქმედებაში. მაგრამ „ოტელუს“ ამსრულებელიც თავ თავის ქერქში ვერ გრძნობდა. კარგი იყო ნ. მკვდლიშვილი ბარტლომეს



(ტურაზის შვილი) როლში ბავშვური გრძობა, სიკაცუნე და სიმკვირცხლე არჩეულა მას, სხვა მოთამაშეთაგან. არა უშედადარა ალ. მერტრეველს. საერთოდ, პიესა, ვერ „ასარულეს“ სიტყვის სწორე მნიშვნელობით. ეს მიტომ რომ მოთამაშეთა შორის ბევრი იყენენ გერმანულდებულნი „ჟოჯო“ და შესაბამისი ხარისხიანი მოთამაშები. ჩვენ სცენას კი იგიინი არა ჰყავს გაწრთინილი კარგად, და ეს არის მიზეზი რომ თვინათნი უსიკაცუნობით, მოუხეშაობით და საქმის არ ცოდნით აძლიერებდენ პიესის უშინაარსობას. წარმოდგენა გათავად ღამის 12 ს.

**ღ. ხაუშუბი** შაბათს, 12/III, ანუ გ. წრის გამგეობამ, ჯგაფარაშვილის შენობაში, წარმოადგინა კოსთუმოლოგიის დრამა 4 მოქ. „გაზაფხულის ნიღბი“. ასეთი შინაარსიანი და მწყობრად ჩატარებული პიესა ხაუშურის საზოგადოებას კარგა ხანია არ უნახავს. რეჟისორობდა ბ.ნი ნ. სინარულიძე. პიესის უმთავრეს გმირის როლს (სერგეი) ასრულებდა ბ.ნი გ. ნაკაშიძე. ეს სცენის მოყვარე პირველად გამოვიდა აჭაურ სცენაზე და თვისი დაკვირვებულის თამაშით გვიჩვენა რომ იგი დიდ ძალას წარმოადგენს. სერგეის რთული როლი საუცხოოდ განასახიერა. მას მხარს უმხევენდა ქ.ნი იონისიანი (ესეკ), თუ არ ვსცდები, პირველად გამოვიდა ხაუშურის სცენაზე), რომელსაც შეგნებულად შეასრულა ნატაშას როლი. ქ.ნი ქ. კალაძე (ვარინკა), როგორც ყოველთვის, საუცხოოდ იყო. ბ.ნი ალ. ქუთოთაძე (ბორის) მშვენიერი იყო. კარგად იყვენ: ბ.ნი მ. ლაზარევი (ვალითა), ქ.ნი ნ. კაკელიძე და ბ.ნი მ. კვალიაშვილი. დანარჩენები ანსამბლს ზელს უწყობდენ. საერთოდ პიესას გამოცდილი რეჟისორის ხელი ეტყობოდა. ხალხს საკმაოდ დაესწრა. იმედია, გამგეობა, ასეთ წარმოდგენის შემდეგ, შთაბეჭდილების შესანარჩუნებლად აგეკიდეს უშინაარსო და მობეზრებულ ვოდევილებს.

წარმოდგენა ძალიან გვიან (9<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს.) დაიწყო და გვიანაც (1<sup>1</sup>/<sub>4</sub> ს.) გაათავეს. კაკალი

## წვრილი აგებები

◆ **ძარ. დრამ. საზ.პის სასაზგამლოდ** დღეს, კვირას 20 მარტს, „ახალი კლუბის“ დარბაზში ფრიალ საყურადღებო საღამო იმართება ქ. ვ. ი. ერისთავის დიასახლისობით. საღამოში ცნობილი და ნიჭიერი ბლანი იღებენ მონაწილეობას.

◆ **ბარდაცივალა** ბაქოს სცენის მოყვარე ალ. პავლიაშვილი.

◆ **ბ. სუბოტაშვილი-იუთინი**, ჩვენი თანამემამულე, სახელგანთქმული დრამატურგ-მსახიობი, როგორც გავიგეთ, სააღდგომოდ გვეწყვედა. სხვათა შორის, იგი ითამაშებს სახაზინო თეატრის სცენაზე პოლონსკის დასში. იმედია, ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივ თანაგრძობას გააოიჩენს და ღირსეულად შეხვდება

ძიკრფას სტუმარს. სუბოტაშვილი კარგა ხანია რაც თავის საშობლოში არა ყოფილა.

◆ **ალ. შაჰხაზინის** მოთხრობა „ციცია“ გ. მარტირუხვამ პიესად გადმოაკეთა. პიესას ეწოდება „გაობრებული ოჯახი“ 5 მოქ. 12 სურ. პიესა უკვე ნუბადართულია წარმოსადგენად.

◆ **სახალხო სიტყვიერების** შეგვრები ანტოკაპანაძის კვლევა განავრცობს ანდაზა-ზღაპარ-ლექსთა შეკრებას და ამ მოკლე ხანში გამოდგენს მართლაც, რომლის შემოსავლით ჰსურს ანბანები და სხვა სახალხო წიგნაკები შეიძინოს ხალხში გასავრცელებლად.

◆ **გ. ბარაკიძის პიესა** „მოლობუე გაზაზე“ სცენაზე წარმოსადგენად, ავტორის ნებადართულად, აკრძალულია.

◆ **საქუთარი აუდიტორიის** ასაშენებლად ავლბა. ქართ. წრის გამგეობამ დაადგინა: ყოველ წარმოდგენის შემოსავლიდან გადაიღოს 10% ძირითად თანხად, უძრავი მამულის შესაძენად.

◆ **ჩემის ალ. ჟუჟუნავა** ავლბარის ქართ. სახ. წარმ. მმართველი წრის გამგეობამ საგაზაფხულო სეზონისათვის რეჟისორად მიიწვია. ა. ჟუჟუნავა, სხვათა შორის, უსასყიდლოთ წაიკითხავს სცენის მოყვარეთათვის სისტემატურად ლექციებს: მიმიკის, პლასტიკის, გრიმის და ბულოვების შესახებ.

◆ **ავლბარის თეატრ-პალასში**, დღეს, 20 მარტს, მსახიობთა ალ. იმედაშვილის, ქ.ქ. ან. ქიქოძის, ბეგინაშვილის, ბ. კორიშის და გომელაურის მონაწილეობით, სახ. წარმ. მმართველი წრის მიერ, წარმოდგენილი იქნება შექსპირის „ოტელო“.

◆ **ლანჩხუთში სასაზგაზდა მშენების** ს. ერთაწინდელის პატივსაცემლად 28 მარტს საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება მისი პიესა „ლურჯი ხალათი“, კ. ელენტი წაიკითხავს რეჟერად ს. ერთაწინდელის შესახებ, და ახალგაზდა მგონებში წარმომსწამენ ლექსებს.

◆ **ნაძალადების თეატრში** დღეს ს. გოგაშვილის რეჟისორობით—„მსხვერპლი“ და „მათიკა“.

◆ **ბაქოში** დღეს, 20 მარტს იმართება ელ. ჩერქეზიშვილის დღესასწაული.

◆ **არმაზიში** შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, ოცამდე სცენის მოყვარის მონაწილეობით. ეს წრე 20 მარტს „ახალ თეატრში“ წარმოადგენს „ყაჩად არსენა“-ს. შემდეგი წარმოდგენა—კვირაცხოვლობას „გატრუებული იმედი“.

## ფოტო

**ბორჩხა.** ა. გა-ძეს, გამდლობთ გამოგზავნილი მასალისთვის, თავის დროზე დაიბეჭდება.

**ოტოგოლ.** გვეცნობეთ თქვენი მისამართი.



# უკვე იბეჭდება

ქველსათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიძუვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეეცხვებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად ვადიდებულად) წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, წასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკარის ყდაში, მოქოლოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნილი ღირს **ორი (2) მანათი** (ფულის გადახდა შედავათითაც შეიძლება; ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენი—წიგნი გამოსვლის ეამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან. 50 პა.)

ხელის მოწერა მიიღება: **ყურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში. ფოსტით: Тифлиς. Ред. „Театри да Цховреба“ Ис. Имедашвили.**

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სპირატომბიანი ჟურნალი იშემორჩისტული განყოფილებით, შარეებით და კარიკატურებით

წელიწადი  
მომთხ

### „თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოსვლისა მომთხ

წლიწარად  
ჩ მან.  
ნან. ფლ.  
3 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალ-გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა ვარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სპირატი დაიბეჭდება

ფანი: წლიურად ისევ 2 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. შინაში—2 მ. ენკენისთვის I მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებაც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“-ს სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონკოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სან.) იოსებ იმედაშვილთან დღით 9—2 ს. ხალ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлиς, ред. „Театри да Цховреба“—Ис. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი

# „ავლაზური თეატრი კალასი“

საგაზაფხულო სეზონი  
წარმოდგენა

კვირას, 20 მარტს, აუღარ. ქართ. სსხ.  
წარმ. მმართვე. წრის მიერ მსახიობთ: ალ. იმე-  
დაშვილის, ა. ქიქოძის, ს. ბეჟანიშვილისა და  
პ. კორი ბელის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება ბირეული ავლაზ-  
რის სცენაზე ცნობილი უ. შექსპირის ტრაგედია  
ნ შოქმედ. თარგმ. ივ. შიშხაძისა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ადგილებს ფასი 30 კ. ღგან 1 მ. 50 კ. მდე.  
რადგანაც ზოგიერთნი მოტრუეებით ხელზე ჭვი-  
დან ბილეთებს, ამიტომ მატყუებულ საზოგადო-  
ების საუფრადლებად ცნობადეთ, რომ ჩვენა წარ-  
მოდგენის ბილეთები გაიყიდება მხოლოდ თეატ-  
რის კასში.

რეჟ. ალ. იმედაშვილი. მორ. გაჩეკ ა. უმბრიევი

# ოსელო

**სახალხო სახლი**  
დილით ხანმოკლას, 25 მარტს. დილით  
2 შეერთებული გუნდი 1, ქართველ მომღე-  
რალ-მგალობელთა და 2, ქართველ მუსიკა  
მომღერალ-მგალობელთა

პ. კავსამიას დირიჟირებით

# დიდ კონსერტს

მშათა კავსამიების (ტრო), თ. ლოვარსაზ ჯან-  
დიერის (სოლოღურაშული), იოსებ საღირაშვი-  
ლიმ (თარი), ვანო უსტიაშვილის (ფანდური),  
გიორგ ბეჟანიშვილის, გიორგი ბერიაშვილის,  
ვასო ჩეკურაშვილის, ვანო დაღანაშვილის და  
სხვათა მონაწილეობით.

ბილეთების ფასები 15 კ.-დან 1 მ. 50 კ. დე;  
ბილეთები იყიდება თეატრის კასში დილის  
12—2 ს. საღ. 6—8 საათამდე; დასაწყისი დი-  
ლის 12 საათზე.

მორიგი წვერნი გამგებობს: ი. ქარსელაძე  
გ. პეტრიაშვილი და ი. დემეტრაშვილი.

# ნაკალაშვილი თეატრი

კვირას, 20 მარტს, 1916 წ.

ნაძალაფრების სენის მოაგაგებად მიერ წარმო-  
დგენად იქნება:

# 1 მსხვერპლი 2 მათიკო

დრ. ი. გუბუჩაშვილისა კომ. ავ. ცაჭრლისა  
1 და 5 მოქმედება. მე-3-ე მ.

**მონაწილეობენ:** ქ-ნნი: ბერძინიშვილი, ს. გო-  
გაშვილისა, ქ. კამკამიძე; მ-ნ ყი: გ. ბეჭუაშვი-  
შვილი, გაბინაშვილი, კულუხაშვილი, სვანიძე,  
ს. გოგაშვილი, ძაძაძი, ლაღოშვილი, საცი-  
ტაძე, შავიშვილი და სხ.

ადგილების ფასი: 20—40 კ. დასაწყ. საღ. 8 ს.  
მორიგი გამგე ა. სუხაშვილი.

# „ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 20—21 მარტ.

კვირა—ქართ. დრამატ. საზოგადოებ. საღ. მო.

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორ-  
კესტრი.

**სამშაბათი**—საოპერეტო წარმოდგენა.

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორ.

**პარასკ.**—ქართული წარმოდგენა (უფასოდ);

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ.,  
წარმოდგენისა და სინემატოგრაფ. საღ. 8 ს.

**შესასწავლი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ  
სამშაბათს და შაბათს იხილან: მანდილოს-  
ნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ.  
მამაკაცები 1—05 კ.

# სახალხო სახლი

სამშაბათს, 29 მარტს ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ  
წარმოდგენილი იქნება:

# ღ ა ლ ა ტ ი

დრ. ნ მოქ. ა. სუმბათაშვი. თარგ. გ. ყიფშიძისა  
ზერინაბი—ნინო დავითაშვილი.

მონაწილეები: ქ-ნი: ქიქოძე, ბეჟანიშვილი,  
ბ-ნნი ვი, გუნია, გომელაური ზ., თარაღაშვილი ი.,  
კორიშვილი პ., იმედაშვილი ა., იშხანიძე ზ., მამფორია  
ი., გიციშვილი მ., სარაული მ., ვარვარაძე ვ., ჩაგურავა ნ.  
ადგილები ფასი 15 კ.—1 მან. 50 კ.დე.  
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ან დ რ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი

**სცენის მოყვარე-მუსიკოსი საყურადღებოდ:**  
**И. Т. Полумордвиновъ.**

# Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ.

ავლაზ. ი. წარმოდგენა. ნა სცენ ნავნ. კრავ. ი. ოქთოვ.

სცენის მოყვარე-მუსიკოსი საყურადღებოდ: И. Т. ПОЛУМОРДВИНОВЪ.